



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 29 იანვარი, 2019 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდ იურისტთა ასოციაცია
3. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
4. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
7. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია „ტოლერანტი“
9. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
10. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“

განსახილველი საკითხები:

1. კომისიის ფორმირება ( პროგრამული მხარდაჭერა 2020 )

2. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საკითხები
3. სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ შემუშავდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც გადაეგზავნათ ექვსივე ქვეყნის პლატფორმებს. საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა შევსებულ კითხვართან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი გადაიგზავნება ბრიუსელის სამდივნოში.

მმართველი ორგანოს თავმჯდომარემ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დელეგატების არჩევის წესი გააცნო რომლის მიხედვითაც მოხდება 2020-2021 წელს შერჩევა. აღნიშნული წესი შეემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შიდა რეფორმის ფარგლებში. ეროვნულ დონეზე მომზადდა „დებულება - დელეგატების შერჩევის წესის შესახებ“. დოკუმენტი განიხილა და დაამტკიცა საკოორდინაციო საბჭომ.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა დებულების პროექტი საქართველოს ეროვნული პლატფორმის პროგრამული მხარდაჭერის განხორციელების წესის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამული მხარდაჭერის განხორციელებას მიმდინარე პროექტის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ. კომისია ფორმირდება საკოორდინაციო საბჭოს 5 წევრისგან და მის შემადგენლობას ამტკიცებს მმართველი კომიტეტი.

კომისიის შემადგენლობა :

1. სულხან სალაძე - კომისიის თავმჯდომარე
2. დავით ცისკარიძე
3. ნინო ჩხობაძე
4. ნუკრი ყველაშვილი
5. თამარ გაბისონია

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს პარლამენტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენების სამომავლო გეგმები. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ახალ თავმჯდომარესთან შეხვედრისას განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. პლატფორმის საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა იმ საკითხების ნუსხა, რომელ თემებზეც მნიშვნელოვანია სამუშაო შეხვედრების გამართვა სამხრეთი ფორმატის ფარგლებში. აღნიშნული თემები მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს და უახლოეს მომავალში დაიგეგმება შეხვედრა, რომელზეც მოხდება საბოლოოდ შეხვედრების ფორმატების განსაზღვრა.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე განიხილეს ეთიკის კოდექსის მრჩეველის დანიშვნის საკითხი. ფორუმის შიდა რეფორმის შედეგად, ეროვნული პლატფორმები იღებენ ვადებულებას, რომ შეარჩევენ მრჩეველს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს გაუწევს ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს. საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ ეთიკის კოდექსის მრჩეველად დანიშნება ალექსანდრა კალატოზიშვილი.

შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეხვედრაზე მონაწილეობისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე